საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 1412-02
01/07/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის და წიგნის სახლი „ლიგამუსის“ სამუშაო პროცესის დროებით შეწყვეტის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, ”სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების’’ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ”თ” ქვეპუნქტის საფუძველზე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თეო ყაველაშვილის 2016 წლის 30 ივნისის N10654-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირ N 32-ში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის A და B კორპუსების დაკეტვის გამო, 2016 წლის 1 ივლისიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის და წიგნის სახლი „ლიგამუსის“ სამუშაო პროცესი ჩაითვალოს დროებით შეწყვეტილად სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

3. ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება აისახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა არგუსში.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ბიბლიოთეკის დირექტორს თეონა ყაველაშვილს.

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ბიბლიოთეკას და უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ და საგანმანათლებლო ერთეულს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი